



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N10

ქ. მარნეული

26.06.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, კოტე ბოჭოძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ვალი ისმაილოვი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გიულმამედოვი, ისმაილ ბაირამოვი, ჯოშუენ ზეინალოვი, რაგიმ ასკეროვი, გივი ქველაძე, რუსტამ ფაშაევი, ბესიკ გუჯეჯიანი, აიდა ხაჩიკიანი, არსენ ახვერდიანი, სულეიმან ხალილოვი, მაილ მიქიევი, მამედ მამედოვი, სადრადინ ტალიბოვი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე, ლერი მუმლაძე, ქამილ ალიევი, ზურაბ ჭონიაშვილი, ლევონ აკოპიანი, მახირ იუსუბოვი, ელხან მუფტიევი, რაფიკ ჯაფაროვი.

სხდომას ესწრებოდა

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე **ზაურ ტაბატაძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია**.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს წარმომადგენლები, გაზეთ „ოზანი“-ს რედაქტორი **კამილ მუსაევი**.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

სხდომის დაწყებამდე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ითხოვა განსახილველ საკითხთა დღის წესრიგს დაემატოს საკითხი „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ, ხოლო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ ითხოვა განსახილველ საკითხთა ნუსხას დაემატოს საკითხი – მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და დღის წესრიგი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2017 წლის პირველი კვარტლის ანგარიშის მოსმენის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7054 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ივნისის N03/7449 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7156 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7157 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილის განხილვის შესახებ.
8. „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 8 ივნისის N03/6605 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დასკვნა, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ანგარიში 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების მიხედვით შეფასდა დადებითად.
საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N49. 26.06.2017 წ)
2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7054 წერილით წარმოდგენილი ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N48. 26.06.2017 წ.).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 26 ივნისის N03/7449 წერილით წარმოდგენილი ა.ა.ი.პ. მარნეულის მუნიციპალიტეტის „კულტურის ცენტრი“-ს 2017 წლის კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N47. 26.06.2017 წ.).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილით შემოსული დოკუმენტაცია სოფელ ყიზილ–აჯლოში მდებარე გამგებლის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 396,81 კვ.მ ფართის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით ა.ა.ი.პ. „ბავში, ოჯახი, საზოგადოება“ – სათვის გადაცემის შესახებ. საკრებულოს წევრებმა გამოთქვეს აზრი, რომ საკითხის განხილვა მოხდეს ადგილზე კომისიური შესწავლისა და აღნიშნული ორგანიზაციის წარმომადგენლების მოსმენის შემდეგ, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი გადადებული იქნეს შემდგომი განხილვისათვის.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7156 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, მოახდინოს მუნიციპალიტეტის მიერ 100%-ანი წილით დაფუძნებული და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სამი საწარმოს: შ.პ.ს. „კომუნალური მეურნეობა ა“-ს (ს/ნ. 234229830), შ.პ.ს. „ახალი მარნეული“ (ს/ნ. 434161881) და შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი ალგეთი“-ს (ს/ნ. 234214007) ლიკვიდაცია არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N50. 26.06.2017 წ.).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7157 წერილით შემოსული დოკუმენტაცია და ითხოვა თანხმობა, რათა სატრანსპორტო საშუალებების პრაქტიკული მართვის სწავლების (სასწავლო სვლა) განსახორციელებლად დამტკიცდეს მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული იმ გზების ჩამონათვალი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ამ მიზნისათვის: ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩის საავტომობილო გზის მონაკვეთი; ქალაქი მარნეული, ჟორდანის ქუჩის საავტომობილო გზის მონაკვეთი; ქალაქი მარნეული, სამედ–ვურდუნის ქუჩის საავტომობილო გზის მონაკვეთი; სოფელ თამარისში მისასვლელი საავტომობილო გზის მონაკვეთი; სოფელ კირიხლოში მისასვლელი საავტომობილო გზის მონაკვეთი;

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N51. 26.06.2017 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილით შემოსული დოკუმენტაცია შულავერის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „შულავერის აგარაკები“-ს დასახლების შექმნისა და მისთვის სოფლის სტატუსის მინიჭების შესახებ. საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ წინადადებას და მიიღეს გადაწყვეტილება მოხდეს დოკუმენტაციის სრულყოფა და მისი შემდგომი განხილვა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს უახლოეს სხდომაზე.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის N2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N20. 26.06.2017 წ).

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი „მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N21. 26.06.2017 წ).

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის მეათე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი